სხივი

პარასკევი 5 თებერვალი 1910 წ.

№ 2

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. ხვავან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ქიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

ალათი, პეტრე ურუშაძენი, ეფროსინე, ივლიტე, ანთისე, ისააკი ჭანტურიები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, გარდაცვალებას პირველი ქმრისას, მეორე მამისას, დანარჩენები ბიძის

გიგო ლარისპანისძის ურუშაძის

პანაშვიდები ყოველ დღე ხუთ საათზე. დაკ'ძალვა მოხდება პარასკევს, 5 თებერვალს, 3 სათზე, ფოთში 2—2

მეუღლე ალექსანდრა ჯუღელი, შვილები: მარგარიტა, ნორა, სონა და ვალენტინა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ მეგობრებს, რომ კვირას, 7 თებერვალს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნება ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი

სევერიან მოსეს ძე ჯუღელის

სულის მოსახსენებლათ. 3—1

ოლღა ლორთქიფანიძისა, პაშა ნორაკიძისა და საშა სალუკვაძის ასულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 6 თებერვალს, ზედა თეკლათის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის თავის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მათი მამის

ანდრონიკე ზაქარიას ძე სალაყაიას

სულის მოსახსენებლათ. 1—1

სახალხო უნივერსიტეტი

კვირას 7 თებერვალს

ნ. კ. გაუსბანი წაიკითხავს ლექციას

კომედიაზე

ლექციის შემდეგ აიმართება

—❀ კონცერტი ❀—

დასაწყისი დილის 11 სათზე

ფასი 5 კაპიკიან 10 კ-დე.

სახელმწიფო დუმა.

(დეპ. სააგ.)

3 თებერვალი.

თავმჯდომარეობს თავ. ვოლკონსკი. პურიშკევიჩს შემდეგი განცხადება შეაქვს: მიმართავს რა ცენტრს, როგორც დუმის მოქმედების ხელმძღვანელს, ის სთხოვს დააჩქაროს ბიუჯეტის განხილვა, რადგან ეს საჭიროა მთელ რუსეთისთვის და იმ უწყებებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ იცხოვრონ მეთორმეტედი ნაწილით. შემდეგ დუმა სურვილს აცხადებს შემუშავებულ იქნას დუმის 41 წევრის საკანონმდებლო წინადადება, გადაიდოს პირველ დაწყებით სკოლებისათვის დამატებითი ორი მილიონი მანეთი. წინადადება სახალხო ანათლების კომისიას გადაეცა შესამუშავებლათ.

შემდეგ ბოგდანოვი მოხსენებას აკეთებს 33 წევრის საკანონმდებლო წინადადების შესახებ დაარსდეს არკოვის, ყაზანის, კიევის და ნოვოროსის უნივერსიტეტებთან აგრონომიულ განყოფილებები. სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგი აცხადებს, რომ მინისტრო თანაგრძნობით ეკიდება აგრონომიულ განათლებას. სამინისტრომ თვით არის შეიმუშაოს და შემოიტანოს შემოდგომის სესიაზე კანონ-პროექტი—დარსდეს ყაზანის და ნოვოროსიის უნივერსიტეტებთან აგრონომიული განყოფილებები.

მიწათა მოქმედების მთავარ გამგის ამხანაგი პოლენოვი მხარს უჭერს მინისტრის ამხანაგს. ვოლკონსკი პირველი წინადადებას იძლევა გადაეცეს კომისიას, კენჭის ყრით დუმა ავალებს სახალხო განათლების და სასოფლო სამეურნეო კომისიას განიხილოს საკითხი სასურველია თუ არა შესაფერ კანონ-პროექტის შემუშავება.

შემდეგ დუმა განაგრძობს ადგილობრივ სასამართლოთა რეფორმების კანონპროექტის განხილვას. ის მუხლები, რომლებიც ფიცის მიღებას ეხება იუსტიციის მინისტრის ამხანაგის წინადადებით კომისიას გადაეცა.

ბელოუსოვი სოც.-დემოკრატების სახელით აღნიშნავს სოფლის მუშათა მდგომარეობას, 1886 წლის 12 ივნისის კანონის ვიწრო კლასობრივ ხასიათს, რომელიც პირდაპირ მიმართულია მწარმოებელთა ინტერესების დასაცველათ, და სხვა წინადადებას იძლევა შეიმუშაონ ახალი კანონი სოფლის მუშათა დაქირავების შესახებ, რომლითაც უფლება უნდა მიეცეთ სოფლის მუშათ გაფიცვის და გავრცელებულ იქნას მათზე საფაბრიკო ინსპექცია.

შემდეგ დუმა ღებულობს დანარჩენ მუხლებს კომისიის რედაქციით.

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობს შიდლოვსკი. შეაქვთ 49 წევრის მიერ ხელმოწერილი შეკითხვა ამურის მხრის სამხედრო გუბერნატორის უკანონო მოქმედების შესახებ, რომელმაც პურით მოვაჭრეებს და წისქვილის პატრონებს აუკრძალა პურის მარცვალის ყიდვა ადგილობრივ უკეთუ საინტენდანტოს მოწმობას არ წარუდგენენ. თხოულობენ შეკითხვის საჩქაროთ განხილვას. დუმის უმრავლესობა ტიმოშკინის წინააღმდეგ შეკითხვას საჩქაროთ სცნობს. პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი აცხადებს, რომ გუბერნატორის განკარგულება მთავრობამ მხოლოდ 30 იანვარს გაიგო და დაუყონებლივ შეეკითხა ამურის გენერალ-გუბერნატორს, 2 თებერვალს პასუხი მიიღო, რომ გუბერნატორის განკარგულება, როგორც არა კანონიერი გაუქმებულ იქნას. დუმა ერთხმათ ადგენს დაუყონებლივ განხილულ იქნას მთავრობის განმარტება. ლერხე შემდეგ ფორმულას აყენებს: „ვსცანით რა შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტება დასაკმაყოფილებლათ, დუმა გადადის მორიგ საქმეებზე.“ ფორმულას ერთხმათ ღებულობენ.

შემდეგ განაგრძობენ შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტების განხილვას პოლონელების კოსტელის შესახებ შეკითხვის გამო ვრცელ სიტყვას ამბობს ეფისკოპოსი ევლოღი. ის ყველაფერში პოლონელებს ამტყუნებს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიები მათ ხელში ჩაიგდეს. ის ეხება დიმშას სიტყვებს და ამბობს, რომ არაფერი ისეთი არ მომხდარა რაც მან სთქვა. დასასრულ აცხადებს რომ რუსეთის ხალხი ბოლოს მაინც გაიგებს ყველაფერს და თავს არავის მოატყუილებიებსო. (მარჯვნით და ცენტრში ტაშის ცემა).

სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 5 თებერვალს.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 თებერვალი.

საზღვარ-გარეთ

ლონდონი. პარლამენტი გაიხსნა. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ლოუტერი. პალატას ხვალ აცნობებენ ლოუტერის დამტკიცებას მეფის მიერ. დიდ ხანს მოანდომებენ ფიცის მიღებას. სეფე სიტყვას 8 თებერვლის ადრე არ წაიკითხავენ. შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარს გლადსტონს პერის წოდება უბოძეს.

ბერლინი. პრუსიის საარჩევნო კანონის საპროტესტო მიტინგის შემდეგ შუაღამისას რამდენიმე ასმა კაცმა დემონსტრაცია მოახდინა. ბრბო კანცლერის სასახლისკენ გაემართა. მათ პოლიციის რაზმი მიეგება და უკან დაახევინა.

რომი. დეპუტატთა პალატა. დეპუტატი გილლი შეეკითხა მთავრობას კრიტოსის საკითხის შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ მფარველსახელმწიფოთა რჩევას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. საბერძნეთის მთავრობამ აცნობა სახელმწიფოებს, რომ ნაციონალური კრება მოწვეულია მხოლოდ შინაურ საქმეების მოსაწესრიგებლათ, ამიტომ მან მწვავე ხასიათი დაკარგა უკვე. ჩვენი მოქმედება შეთანხმებული იყო ინგლისის, საფრანგეთის და რუსეთის მოქმედებასთან. ავსტრო-უნგრეთი და გერმანია გაწზე იდგა მოლაპარაკების დროს, თუმცა თანაუგრძნობდა მოლაპარაკებას. საერთაშორისო მშვიდობიანობის გამაგრება ეხლა შეიძლება მხოლოდ ახლო აღმოსავლეთში არსებულ მდგომარეობის შეცვლით.

ვენა. „კორრ. ბიურ.“-ს სალონიკიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ სერსში სიკვდილით დასაჯეს ბოლგარელი რაზმის უფროსი დინკა, ჩამოახრჩვეს 12 ბოლგარელი, ხუთი მცირე აზიაში გაგზავნეს სამუდამოთ კატორღაში.

ბერლინი. ნეიმიუნსტერში ორი კრების გათავების შემდეგ, საარჩევნო კანონის საპროტესტოთ, ბრბო ქალაქის რატუშის წინ შეიკრიბა და პოლიციელებს ქვები დაუშინა. პოლიციელებმა ხმლები იშიშვლეს, გამოიწვიეს ქვეითი ჯარი, რომლებმაც ხიშტებით გასწმინდეს მოედანი.

ათინა. სამხედრო ლიგის ორგანო «ხრონოსი» აცხადებს, რომ ნაციონალური კრება მოხდება შინაურ რეფორმების შესახებ მოსალაპარაკებლათ. „ხრონოსის“ სიტყვით უცხოეთის გაზეთების ცნობები, თითქოს ნაციონალურ კრებას აზრათ ქონდეს შეზღუდოს მეფის უფლებები, სიმართლეს მოკლებულია.

რუსეთი

ოდესა. სამოსამართლო პალატამ განიხილა 23 სტრაჟნიკ ინგუშების სააპელაციო საჩივარი. მათ პოდოლის საოლქო სასამართლოს მიერ ორი თვის ციხე ქონდათ გადაწყვეტილი. აბრალებდენ: ტროსტიანეცკის ქარხანაში გლეხებთან შეტაკების დროს მოკლეს სამი გლეხი და დასჭრეს ცხრა. პალატამ ყველა გაამართლა.

ნოვოჩერკასკი. დონეცის ქვანახშირის წარმოების რაიონში ყალბ ფულების მკეთებელთა ორგანიზაცია აღმოაჩინეს. დაიჭირეს სამ. მილლეროვაზე ლუდხანის პატრონი, რომელსაც 100 ყალბი მანათიანი აღმოაჩნდა.

პეტერბურგი. უმაღლეს ღრამოტით ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს ებრძანა გახსნას 16 თებერვალს ფინლიანდიის სეიმი.

სამართლის მაძიებელს.

—

შეიძლება მკითხველს ახსოვდეს ჩვენი წერილები ადგილობრივი საკითხების შესახებ, შეიძლება ახსოვდეს მას, რომ სხვათა შორის ჩვენ წერილებში განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ერთ უმწვავეს კითხვათაგანს კავკასიის ცხოვრებისას, კავკასიის კოლონიზაციის საქმეს. ეხსომება მკითხველს, ალბათ, ისიც, თუ რას ვთხოულობდით ჩვენ ადგილობრივი საკითხების შესახებ. სხვათა შორის ჩვენი თხოვნა და შეკითხვები მიმართული იყო პატივცემულის რედაქციის მიმართ, რომელიც ხელმძღვანელობს გაზეთ „დროებას“. მოიგონებს მკითხველი იმასაც, რომ გაზეთმა „დროებამ“ არამც თუ დაწვრილებით პასუხი არ გაგვცა, მოკლე პასუხის ღირსიც არ გაგვხადა.

სწორი მოგახსენოთ, აქ მოულოდნელი არ ყოფილა რა, თუ გვისაყვედურებენ: ადგილობრივ საკითხებს და საქმეებს გვერდს უხვევთ და სათანადო ყურადღებას არ აქცევთო, იმიტომ კი არა, რომ მოსაყვედურეს ხელის შეწყობა სურდეს, არა: მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყნის თვალში მიწასთან გაგვასწორონ. სადაც ასეთი საფუძველი უძევს საყვედურს, იქ საყვედურს არასოდეს დახმარება არ მოყვება. ასეთი საყვედურები ახასიათებს მტერს და არა საქმის მოყვარეს.

ახლა როგორც ჩანს ასეთ საყვედურებს სხვა სარჩული ედება. რა ჯურისაა ეს სარჩული, ამას დაინახავთ.

საქმე აი რაში გახლავთ.

„დროების“ მე-14 ნომერში მოთავსებულია წერილი ბ. ნ. თავდგირიძის სათაურით: „სად არის სამართალი?“ ავტორი აღნიშნავს კარწაუთელი გლეხების აწიოკებას და ხმობს: „არ ვაფასებთ ჩვენს თავს, არ ვიცავთ ჯეროვნათ ჩვენ ინტერესებს. როცა სხვა ერის წარმომადგენელ დეპუტატს მცირე-ოდენი მასალა უძლევა მთავრობის უსამართლობების წინააღმდეგ გასალაშქრებლათ, მთელ განგაშს ასტეხენ, მინისტრებს და თვით უდიდეს სახელმწიფო სათათბიროს აალაპარაკებენ ხოლმე, ჩვენ წარმომადგენელთ კი ვერ მოუხერხებ ათ რაო“.

ხომ ხედავთ ახლა, სად ყოფილა ცოდვის სათავე ან სად უკაკუნებს ბ. ნ. თავდგირიძე!

მთელი აღშფოთება ბ. ნ. თავდგირიძის, მთელი ლირიზმი, მთელი მისი ხმობა მიმართულია იმაზე, რომ ეფექტით დაასკვნას, „ჩვენ წარმომადგენლებს ვერ მოუხერხებიათ რა“!

ამრიგათ საქმისადმი გულშემატკივრობა ირგუნა ბ. ნ. თავდგირიძემ, კარწაუთელი გლეხების სატკივარი იტკივა, მათთან ერთათ ცრემლები დაღვარა და თანაც წარმომადგენლებზე მიუთითა ქვეყანას. ბ. ნ. თავდგირიძე, ალბათ, დარწმუნებულია, რომ ყველა ისეთ დასკვნას გამოიყვანს აქედან, როგორიც მას უნდა, შეიძლება.

მაგრამ საქმე ამით არ თავდება. ახალშენთა საკითხი კავკასიაში მეტათ რთული და მწვავე კითხვაა; აქ არ კმარა ნაძალადევი პაფოსი და ნაცოდვილევი ლირიზმი. წავიდა ის დრო, როცა ყოველ საჭირვარამო ადგილობრივ საკითხზე პასუხათ გავიძახოდით: „და გაუმარჯოს ჩვენ საქართველოს“.

ყოველ შემთხვევაში, გაზეთ „დროების“ რედაქციას მოვაგონებთ, რომ ბ. თავდგირიძის ყიჟინი არ კმარა იმ კითხვების პასუხათ, რომლებითაც ჩვენ მივმართეთ ამას წინათ.

ახლა რამდენიმე ფაქტიური ცნობები ისევ ბ. ნ. თავდგირიძის საყურადღებოთ.

წარსულ წელს, სახელმწიფო სათათბიროს მეორე სესიის დასაწყისში, ერთი ფრიად პატივცემული ქართველისაგან მივიღე ვრცელი წერილი მრავალი დოკუმენტებით. ეს პატივცემული პირი ერთ დროს ქალაქის თავათ იყო და შემდეგ ადმინისტრაციის მიერ გადააყენეს ამ თანამდებობიდან. მოხსენებული წერილი და დოკუმენტები შეეხებოდა სწორეთ ადმინისტრაციის მოქმედებას ამ საქმეში.

პატივცემული ქართველის აზრით მისი გადაყენება ადმინისტრაციის მიერ ქალაქის თავის თანამდებობიდან ჩვენ „მასალას გვაძლევდა მთავრობის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ“.

წავიკითხეთ ყურადღებით პატივცემული ქართველის წერილი, 6 მისი დოკუმენტები და დავრწმუნდით, რომ შეუძლებელი იყო ეს შემთხვევა გამოგვეყენებია დუმაში შეკითხვის შესატანათ, მაგრამ ვიცოდით, რომ აქ მარტო ჩვენი დასკვნა არ კმარიყო და საჭირო იყო ერთგვარი თავდარიგი.

საქმე იმაში გახლავთ, რომ ეს პატივცემული პირი და მე საკმაოთ განსხვავდებით პარტიული მიმართულებით, ამას თვით პატივცემული ქართველიც აღნიშნავდა თავის წერილში. მაშ საჭირო იყო განსაკუთრებული ზომები, რომ პატივცემულ ქართველს ჩემზე ეჭვი არ შემოეტანა და ოდესმე საყვედურით არ მოემართნა ჩემთვის: დიახ, «მთავრობის წინააღმდეგ გასალაშქრებლათ მასალები ბევრი გაქვთ ხელში, მაგრამ ვერაფერი მოგიხერხებიათო.

საბუთები გავაცანი გიორგი ზდანოვიჩს რომელიც იმ დროს აქ იმყოფებოდა და ვთხოვეთ თავისი აზრი გამოეთქვა. რამდენათაც გვახსოვს ბ. ზდანოვიჩიც იმ აზრის იყო, რომ შეკითხვის მასალას არ იძლეოდა დასახელებული დოკუმენტები.

ეს ერთი ფაქტიური ცნობა. აქ მკითხველისათვის მიმინდვია ამოცანას გამოცნობა: დღევანდელ საყვედურს ბ. ნ. თავდგირიძისას უნდა ქონდეს თუ არა კავშირი ამ ფაქტიურ ცნობასთან?

მეორე. გადასახლების, ახალშენთა, კოლონიზაციის საქმეში არავის ჩვენზე მეტი განგაში არ აუტეხია დუმაში. თუ ბ. თავდგირიძემ იცის, მიგვითითოს.

მესამე. ბ. ნ. თავდგირიძის წერილი, რამდენათაც ავტორს ჩვენ ვყავდით სახეში, დაგვიანებულია: კარწაუსელი გლეხების ტელეგრამა ჩვენ მივიღეთ თუ არა იმ წამსვე მივმართეთ გადასახლების გამგეობის უფროს ბ. გლინკას და ვთხოვეთ ჯერ აეხსნა რაშია საქმე და შემდეგ მიეღო საჭირო ზომები. გლინკამ ტელეგრამით მიმართა კავკასიაში არხიპოვს და მოსთხოვა დაწვრილებითი ცნობა. ჯერ ეს ცნობები არ მოსულა. მივიღებთ თუ არა შეძლების და გვარათ განვაგრძობთ საქმეს.

კარლო ჩხეიძე.

პეტერბურგი, 26 იანვარი 1910 წელი.

შეუწყნარებელია

—

შაბათს, საღამოს რვა საათზე, გაზეთი „ნოვაია რეჩის“ ნომერი გამოვიდა, სადაც მოთავსებული იყო წერილი მოსყიდულ ჟურნალისტების შესახებ. კვირას, საღამოს 8 საათზე, სათავად-აზნაურო თეატრში ბ. დიასამიძემ „ნოვაია რეჩის“ რედაქტორ-გამომცემელი ჰ3. ა. გოთუა გალახა. მე აქ არ შევეხები იმ კითხვას, მისცა თუ არა ბ. გოთუამ ბ. დიასამიძეს რაიმე მიზეზი, საბაბი. ადვილათ შესაძლებელია ბ. გოთუამ ამის საბუთი მისცა. მე მხოლოდ ვკითხულობ:

ზეფერის თ[illegible] ჟურნალისტს მიმართოს თა[illegible] შელახული პატიოსნების აღსად[illegible]ათ ფიზიკურ ძალას? რა იარაღით [illegible]ორდებიან ერთი-მეორეს საზოგადოთ ჟურნალისტები? უნდა ვეძებოთ ეს იარაღი ფიზიკაში, ფიზიოლოგიაში, თუ ერთად-ერთი ადგილი, სადაც ის უნდა მოვძებნოთ არის ლოღიკა და სიტყვიერება? ვფიქრობ, რომ საუკეთესო იარაღათ ამ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს კალამი და თუ მან ვერ გასჭრა—სასამართლო. ბ. დისამიძემ კი მუშტს მიმართა.

მწერლობა—თავისუფალი პროფესიაა, და მის თავისუფლება არავითარმა გარემოებამ არ უნდა შებოჭოს. მე მეტსაც ვიტყვი: ბინძური მწერლობაც კი თავისუფალი უნდა იყოს; ეს უნდა შეზღუდოს საზოგადოებრივმა აზრმა, მოპირდაპირის კალამმა.

ვაი იმ ხალხს, სადაც მწერალი მუდამ იმ შიშ ქვეშ იმყოფება, რომ ის თავის ნაწერის საპასუხოდ სილას მიიღებს! ვაი იმ მწერლობას, რომელსაც დისამიძეები მოპასუხეთ ეყოლება. ძველი დროის ბერძენი ურტყამდა და უსმენდა; თანამედროვე ევროპიელი მხოლოდ უსმენს; ბ. დისამიძე ურტყამს და არ უსმენს. ურტყამს არა გოთუას, არამედ ჟურნალისტს. იცოდეს ბ. დისამიძემ, რომ მისი სილა მწერლობას მოხვდა, და მას არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს; მის საქციელს დანაშაულობის არავითარი შემამსუბუქებელი გარემოება თან არ ახლავს. და აი რისთვის.

ვთქვათ ბ. გოთუამ ბ. დისამიძეს შეურაცხყოფა მიაყენა. ეს მოხდა უეჭველად კვირა დილას. ამ დროს ის, შეიძლება, ძლიერ აღელვებული იყო, და გაზეთის წაკითხვის დროს რომ ბ. გოთუა მის გვერდში მდგარიყო და მას, დისამიძეს, მისთვის სილა გაერტყმია, ჩვენ ვიტყოდით: აქ აქვს ადგილი ეგრედ წოდებულს აფექტს, წუთიერი თავ-დავიწყებას და ამ ფსიხოლოგიური, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ფსიხიური მომენტით მისი დანაშაულობა შემსუბუქდებოდა, თუმც აქაც ველურობა ველურობათ დარჩებოდა. მაგრამ როდესაც გაზეთის წაკითხვიდან ინციდენტამდის მთელმა დღემ განვლო,—ჩვენ ვიტყვით: ბ. დისამიძემ წინად-განძრახით, მოფიქრებულად, სრული ჭკუით მუშტ-კრივს მიმართა და ამით შეურაცხჰყო მწერლობა.

დღეიდან ჩვენი მწერლობა დიდ საგონებელშია ჩავარდნილი: არ სწეროს არ შეუძლია, სწეროს და სად არის გარანტია, რომ ვინმე მას სილას არ შესთავაზებს!

არა, ბოლო უნდა მოეღოს ამ გვარ მოქმედებას. მათთან საბრძოლველად ზომები უნდა იყოს გამონახული. პირველ ხანებში ჩამოერთვას გრ. დისამიძეს სიტყვა, რომ ის აწი მაინც აღარავის გალახავს.

დაგმეთ, გაჰკიცხეთ ყველამ ბ. დისამიძის საქციელი, და ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ამ გაკიცხვით ის პარ. გოთუას თანამოაზრე შეიქნება, რომლის ლიტერატურულ სიფაქიზეზე და ეთიკაზე ჩვენ გაზეთს არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი.

იკა.

სამგლოვიარო დეპეშები და წერილები.

ყოფილი მოწაფეები მწარეთ დავსტირით სამშობლო ლიტერატურის უდროვოთ დაღუპულ მასწავლებელს მელიტონ ჩოგოვაძეს. მისი სპეტაკი სახელი ჩვენს მოგონებაში სამარადისოთ ამოუშლელი დარჩება; სტუდენტები: კინწურაშვილი, კოკოჩაშვილი, კაველაძე, ნიჟარაძე, ბუტულაშვილი, კალანდარიშვილი, კუპატაძე, ცივციმაძე, ჩიხლაძე, ლოლაძე, ცაგარეიშვილი, გრაგვაძე, გაბიჩვაძე, გველესიანი, ჯუღელი, აბაშიძე, ჭეიშვილი, კანდელაკი, გველესიანი, ჯუღელი, სანაძე მარიამ.

ხარკოვი.

ღრმათ დამწუხრებული ვსტირით ძვირფასი მასწავლებლის მელიტონ ჩოგოვაძის უდროვოთ დაკარგვას.

ცაცა დარახველიძე, შუშანიკა გლდავა, ქსენია ჯუღელი, ბაბულია კუპაიძე, და ლუცია ქუთათელაძე.

ახალი ამბები

◆ **ქალაქის დაწესებულებათა რევიზია.** 3 თებერვალს ქალაქის გამგეობამ მოახდინა ქალაქის ყველა დაწესებულებათა რევიზია: პუშკინის ბიბლიოთეკაში, ქალაქის წყლის-საყვენის სახელოსნოში და სხვაგან. რევიზია ყოველგან წესიერებას აღნიშნავს, მხოლოდ ყურადღება მიუქცევიათ ერთ გარემოებისათვის, რომ ქალაქის სამეურნეო პოლიციის მოხელენი სამსახურის დროს არავითარ ნიშანს არ ატარებენ. გამგეობა წინადადებას იძლევა, ხსენებულ მოხელეებმა სამსახურის დროს ფორმის ნიშნები ატარონ.

◆ **არტისტ ქალის მელიქიანის საიუ**ბილეო დღესასწაული 15 თებერვალს, გაიმართება „არტ. საზ.“ თეატრში. დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებენ ქართულ დრამატიულ საზოგადოების წარმომადგენელნი, რამდენიმე ქართველი არტისტი, რომელთა მიერ ქართულ ენაზე წარმოდგენილ იქნება „შემოსავლიანი ადგილი“. წარმოადგენენ სომხურ ენაზე „სუნდუკიანცის პიესას“ „პეპო“ ბილეთების ფასები გადიდებულია.

◆ **წინადადება.** ქალაქის გამგეობამ გუშინ, წინადადებით მიმართა ქალაქის ხმოსანს მირზოევს, დაუყონებლივ წარმოადგინოს ყველა დოკუმენტები თფ „პრესის სინდიკატის“ შესახებ.

◆ **ავტომობილების მიმოსვლა.** ნამესტნიკმა ნება დართო, ბელგიის მოქალაქეს ა. ლევეს მოაწყოს ავტომობილების მიმოსვლა კავკასიის სამხედრო გზაზე.

◆ **ქართული სალამო პეტერბურგში.** 29 იანვარს პეტერბურგში გაიმართა ჩვეულებრივი ქართული სალამო, რიცხვით მე-50. სალამოს განაგებდა არტ. ლ. ბ. ივორსკაია. გალობდა არხანგელსკის ხორო ფოცხვერაშვილის ლოტბარობით. წარმოდგენილ იქნა პირველი სურათი ბალანჩივაძის ოპერა—„თამარიდან“.

◆ **პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა,** რათა პოლიციის მოხელენი თვალ-ყურს ადევნებდენ იმ კერძო პირთ, რომელნიც ქალაქში იარაღს ატარებენ. პოლიციელთ ევალებათ ყველა ასეთი პირნი შეაჩერონ და იარაღების ტარების მოწმობა მოსთხოვონ.

◆ **შრომის ბირჟა.** თფ. „შრომის ბირჟაში“ იანვრის განმავლობაში სულ 536 უსაქმოთ დარჩენილ მუშის თხოვნა შემოსულა ამათგან —238 მამაკაცია —298 ქალი. ადგილზე მიუღიათ და მუშაობს 271 მუშა. ამათგან—50 მამაკაცია და 221 დედაკაცი.

◆ **ბოროტმოქმედებათა რაოდენობა.** 1909 წ. დეკემბრის განმავლობაში, თფილისში სულ 139 ბოროტმოქმედება ჩაუდენიათ. შეუპყრიათ სულ 181 ბოროტ-მოქმედი.

◆ **მინდვრის თაგვი.** ლენკორანის მაზრაში მინდვრის თაგვი გაჩენილა. თაგვებთან საბრძოლველათ ახალციხის მაზრის ბეითალი ილინი გაიგზავნა.

◆ **დახურა** მირზოევსა, ლ. ყიფიანის და ნაგურსკის ყოველ-კვირეული გაზეთი „ეჟ. ობოზ.“-ე.

◆ **შეკითხვა.** ეკატერინოდარის ქალაქის გამგეობას თხოვნით მიუმართავს თფილისის ქალაქის გამგეობისათვის, აცნობოს მას, ღებულობს თუ არა ქალაქი სამოქალაქო სკოლებისათვის ხაზინიდან დახმარებას. ამასთანავე თხოვს, გაუგზავნოს ქალაქის სკოლათა რიგის პროექტი თავისს განმარტებებით.

◆ **სასკოლო კომისიის სხდომა** ქალაქის გამგეობასთან ერთად დანიშნულია დღეს, 5 თებერვალს. კრება მსჯელობას იქონიებს იმის შესახებ, თუ რა გვარი ტიპის შენობები აავონ ქალაქის სკოლებისათვის.

◆ **სამოსწავლო ოლქების რეორგანიზაცია.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი პეტერბურგს მიემგზავრება, სადაც სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებულ კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს. ხსენებული კომისიის მიზანია, სამოსწავლო ოლქების რეორგანიზაციის პროექტი შეიმუშაოს.

◆ **თავდასხმა** 3 თებერვალს, თფილისის მოქ. ე. ი. შაპკოვს, იმ დროს, როცა ის მდინარე მტკვარსე ნავში ჯდებოდა, უკნიდან მას თავს დაესხა თფ. მცხოვრ. ი. ტ. გუდაკევი, ჯოხით სცემა და მიიმალა. შაპკოვი მდინარეში გადავარდა. მას მალე მენავე მიეშველა და წყლიდან ამოიყვანა. გუდაკევი ჯერ არ შეუპყრიათ. თავდასხმის მიზეზი არ იციან.

◆ **მკვლელობა.** მიმდინარე წლის 30 იანვარს, მიხაილოვის სავადმყოფოში მიიღეს ტყვიით დაჭრილი, სპარსეთის ქვეშევრდომი მ. ხალიდ-ოღლი, რომელიც 1 თებერვალს გარდაიცვალა. ხსენებული სპარსელი თფილისში 22 იანვარს ჩამოსულა და ვიღაც უცნობს დაუჭრია. პოლიციის ცნობებით, ხსენებული სპარსელი ქალაქ გარეთ უნდა იყოს დაჭრილი, რადგან შიგ, ქალაქში, მისი დაჭრის შესახებ ცნობა არც ერთ საპოლიციო უბანში არ აღმოჩნდა.

◆ **ვერის აუდიტორია.** ხვალ, 6 თებერვალს, ვერის აუდიტორიაში, ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ, წარმოდგენილი იქნება ა. ცაგარლის 4 მოქ. პიესა „ერთი ნაბიჯით წინ“.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ წერილში:, „რისთვის არ მიიღეთ ხმოსან მირზოევის განცხადება.?“ დაბეჭდილია: „ხელშეკრულება პირადი,“ უნდა იყოს: **ხელშეკრულება პირველი; „დაინდაგების გაგვანის გადიდებას,—უნდა იყოს: დაინდაგების გაკგანის გადიდებას.**

პატარა ფელეტონი

გარეშე სესხი.

(დაუჯერებელი ოცნება)

მოსავლის ნაწილი შეიჭამა, ნაწილ არაყის სახით დაილია და სესხის საკითხ ხელახლა დაიჭირა პირველი ადგილი რუსეთის გენიალური ფინანსისტების თავში.

რასაკვირველია, წარსული წლების მაგალითისამებრ, თვალნი ყოველთანი „დამპალ დასავლეთს“ მიეპყრენ.

— კარგი, სთქვა,—დამპალმა დასავლეთმა,—ფულებს მოგცემთ. მაგრამ გ მსურდა წინასწარ რუსეთის საქმეებ მდგომარეობას გავცნობოდი. თქვენ მიხვდებით...

— ოო! კეთილი, ძალიან კეთილი!—შეაწყვეტინეს რუსეთის ფინანსისტებმა,—თქვენი გადაწყვეტილება დიდათ გონივრია. მხოლოდ ჩვენც მცირე რამ სათხოვნელი გვაქვს თქვენთან...

— ბძანეთ, რა გნებავთ?

— უბრალო, უმნიშვნელო სათხოვარ გახლავსთ... ნუ ინებებთ და რუსეთის რადიკალური გაზეთებიდან ნუ გაეცნობით..

— ეს რატომ?

— ისე... მათი დანიშნულება იმნაირია, რომ ყოველგან, ყოველთვის და ყველაზ უნდა ასისინონ თავიანთი გესლიანი ენა.. ცრუ წარმოდგენას მიიღებთ რუსეთის შესახებ, რადგან რადიკალები ჩვენი შინაური მტრები არიან რუსეთის გასაცნობათ ჩვენ მემარჯვენე გაზეთებს გამოგიგზავნით.

„დამპალმა დასავლეთმა“ მოწყალეთ გაიღიმა.

— კარგი, გამოგზავნეთ მემარჯვენე გაზეთები.

— მერსი. გარდა ამისა ნება გვიბოძეთ ჩვენი მოხელე გამოგიგზავნოთ, რომელიც გაზეთებიდან უგებარ ადგილებს განგიმარტავთ...

„დამპალი დასავლეთი“ ამაზედაც დასთანხმდა. რამდენიმე დღის შემდეგ მემარჯვენე გაზეთები და „რუსეთის მოხელე“ დანიშნულებისამებრ მივიდენ. „დამპალი დასავლეთის“ ბანკირები შეიკრიბენ და დაიწყეს რუსეთის გაცნობა.

— დავიწყოთ „ნოვოე ვრემიადან“,—განაცხადა ერთმა ბანკირთაგანმა: მე ცოტა რამ გაგონილი მაქვს ამ გაზეთის შესახებ. მასში მეწიკლავის ხელებით უდიდესი წარჩინებული პირები (სანოვნიკები) სწერენ. გაშალეს „ნოვოე ვრემია“ და შეუდგენ კითხვას:

„ინოროდცები რუსეთს სძიძგნიან. ამ მილიონ მუქთ ხორებს მხოლოდ რუსე-

„ახალი“ ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ.

III.

მარქსის მოძღვრება მატერიალისტურია თავიდან ბოლომდის. აქ იდეალიზმის ერთ ნამცეცს ვერ იპოვნით, სანთლითაც რომ ეძებოთ. ეს კარგათ იციან ჩვენმა ახალმა ფილოსოფოსებმა, რომლებიც მახის სახელით მატერიალიზმის დედა აზრს უარყოფენ და იმავე დროს მახის მარქსთან შეთანხმებას სცდილობენ.

დიდი ხნისაა ეს მატერიალისტური აზროვნობა. მარქსმა-ენგელსმა შეიმუშავეს და თანამედროვე ხასიათი მისცეს იმ მეცნიერულ მასალას, რომელიც წარსულმა დრომ უანდერძა მათ.

ძველი საბერძნეთის პირველი ფილოსოფოსები—თალესი, ანაქსიმანდრი, ანაქსიმენი, დემოკრიტე—მატერიალისტები იყვენ. ბუნება პირველ-ყოფილი ნივთიერებიდან წარმოსდგებაო, ამბობდენ ისინი. ზოგს წყალი მიაჩნდა ამ ნივთიერებათ, ზოგს პური, დემოკრიტე კი ამტკიცებდა, რომ მატერია სულ სხვაა, იმას არც ერთი ჩვენი ნაცნობი თვისებები არ აქვსო. ის შესდგება პაწაწინა, თვალით მიუწდომელი ნაწილებისაგან. ეს ნაწილები—ატომები ერთმანერთისაგან მარტო გარეგანი მოყვანილობით გაირჩევიან, არიან რგვალი და კუთხეებიანი, დიდი და პატარა, მძიმე და მსუბუქი ატომებიო. ესენი თავისით მოძრაობენ, ხან უახლოვდებიან, ხან შორდებიან ერთიმეორეს და ამ მოძრაობაზეა დამოკიდებული ყველაფერი, რასაც ვამჩნევთ ჩვენი ხუთი გრძნობის საშვალებითო.

ეს იყო დოგმატიური მატერიალიზმი; მატერია-ნივთიერება წინ და წინ არსებობს,—ეს ამათ თვალში ისეთი ჭეშმარიტება იყო, რომელსაც დამტკიცება აღარ ეჭირვებოდა.

ეს იყო მეტაფიზიკური მატერიალიზმი;—მატერია ცალკე და ხილული ბუნების მოვლენები ცალკე, პირველი სხვაა და მეორე სხვაო, ამბობდა დემოკრიტე. ჩვენ ვხედავთ სხვა და სხვა ნაირი თვისების საგნებს, მაგრამ არც ერთი ეს თვისება ნამდვილათ არ არსებობს. ეს მხოლოდ ჩვენ გრძნობაზეა დამოკიდებული, ეს პირველ-ყოფილი ნივთიერების ფოტოგრაფიული სურათიაო. მერე, მატერია ხომ მუდამ ერთი და იგივეა, ჩვენ კი, ვინ მოსთვლის, რამდენ ნაირი ნივთი და მოვლენა გვინახავს, ან გაგვიგონია;—როგორ შეიძლება რომ საგანი ერთიც იყოს და იმავე დროს უთვალავიც, როგორ მოხერხდება, რომ ის მუდამ შეუცვლელად რჩებოდეს და სხვა და სხვანაირ თვისებებსაც იჩენდეს? ეს პირველმა მატერიალისტებმა ვერ ახსნეს. იმათ არ გააჩნდათ ის იარაღი, რომელსაც იცნობს თანამედროვე მეცნიერება, და რომელსაც ჩვენ დიალექტიკას ვეძახით. ამ იარაღის საშუალებით ჩვენ ეხლა ადვილათ შეგვიძლია გავიგოთ სხვა და სხვა, ერთი მეორის მოწინააღმდეგე მოვლენები, ვიცით, რომ ეს წინააღმდეგობა სარჩულათ უდევს ყოველივე განვითარებას. მაგრამ ჯერ დიალექტიკას ჩვენ თავი დავანებოთ. ჯერ ჩვენ მარტო იმის თქმა გვინდა, რომ პირველი მატერიალისტები მართალ გზას დაადგენ, და ამ გზაზე ფეხი ვერ მოიდგეს, ბუნების კარს მიაგნეს, მაგრამ კარი დაკეტილი დაუხვდათ და შიგ შესვლა ველარ მოახერხეს.

ადამიანის ვინაობა, მისი გრძნობა-გონება?.. დემოკრიტე ამის გაგებასაც სცდილობდა, მაგრამ მისი აზროვნობა აქ კიდევ უფრო სუსტი გამოდგა. სულიც მატერიაა, მხოლოდ ეს სხვა ნაირი ატომებისაგან შედგებაო. ეს მატერია ყველა საგნებში ცოტათ თუ ბევრათ გარეულია და სწორეთ ამაზეა დამოკიდებული გრძნობა-აზროვნობის ნიჭიო. ვისაც ბლომათ აქვს ეს სხვანაირი ატომები, ის გონიერია, ვისაც არა, ის უგნური და დაქვეითებულიო. ჩვენ თუ გვინდა ნამდვილი ჭეშმარიტება ვიპოვნოთ, უსათუოდ ამ მეორე ნაირ მატერიას უნდა დავუახლოვდეთ და რაც შეიძლება ბლომათ შევიძინოთ მისი ატომებიო. ამ საქმეში კი გრძნობები ხელს გვიშლიან, ისინი დამახინჯებულ თვისებებს გვიყენებენ თვალწინ; და აი ამიტომ ხილულ ქვეყანას განზე უნდა გადავუხვიოთო. ასე დემოკრიტმა იდეალიზმის წინ ქედი მოიხარა, მისი მატერიალიზმი უნებლიედ მისტიციზმის მახეში გაება. დემოკრიტის შემდეგ ძველ საბერძნეთში სხვა ფილოსოფოსებიც ამავე კითხვაზე იყვენ დაფიქრებული, მაგრამ ვერ შესძლეს მისი გარჩევა. მატერია სხვაა და აზრი სხვაო. აქ ხიდის აშენება ვერ შესძლეს ამ დროის მატერიალისტებმა. ეს, რა თქმა უნდა, მათი ბრალი არ ყოფილა. რაც უნდა დიდი იყოს ადამიანის გონება ის სასწაულს ვერ მოახდენს, მას თავისი საზღვარი აქვს რომელსაც ის ვერ გადასცდება ამა თუ იმ ისტორიულ ხანაში.

ამ ნაირათ ძველმა ფილოსოფოსებმა კითხვა ახალ დროს გადასცეს, ახალ მოაზრეებს მიანდვეს ხიდის აშენება; ამასობაში მეცნიერული გამოკვლევაც ასე თუ ისე განვითარდა, მოგროვდა ის მასალა, რომელიც უნდა გამოეყენებია ფილოსოფიურ მსჯელობას. მე-17-ე საუკუნემ შესძლო ის, რაც მისი წინაპრებისთვის გაუგებელ გამოცანათ დარჩა ამ საუკუნის შესანიშნავი მოაზრე იყო სპინოზა. ამან უარყო ის, რაც გამეფებული ეკლესიისაგან უტყუარ ჭეშმარიტებათ იყო აღიარებული და სთქვა, რომ მატერიას აზროვნობა მუდამ თან ახლავსო. ესენი ერთნაირი მასალისაგან შესდგებიან, ერთი არსების თვისებები არიანო.*)

ეს არსება მატერიალური სახით ჩვენ თვალ წინ იშლება და აზროვნობაც მას თან დაყოლილი აქვსო. აზრი და ნივთიერი საგანი ერთი მეორეს არ შორდებიან. ადამიანის აზრი შეეფერება ყოველთვის იმ საგანს, რომელიც არსებობს სინამდვილეშიო**). სხვა და სხვა აზრებში ისეთივე კავშირი და განწყობილებაა, როგორც სხვა და სხვა საგნებშიო***). ეს მატერიალისტური შეხედულება სპინოზას თეოლოგიურ ქერქში ქონდა გახვეული. მსოფლიო იგივე ღვთაებაა არისო ამბობდა ის, და აზროვნებაც ამ არსების თვისებას შეადგენსო. აი ამ ბურუსიდან სპინოზას აზრი გაანთავისუფლეს მე-18-ე საუკუნის მატერიალისტებმა და შემდეგ ფეიერბახმა, რომელიც ფილოსოფიაში მარქს-ენგელსის წინამორბედი იყო. აზროვნობა მატერიის განუყრელი თვისებაა,—ასეთია ეს გაწმენდილი შეხედულება. ასე აშენდა ის ხიდი, რომელსაც ეძებდა დემოკრიტე.

მე-18 ე საუკუნის ფილოსოფოსებმა და ფეიერბახმა მოსპეს აგრეთვე საზღვარი, რომელსაც ვერ გადააბიჯა დემოკრიტმა. მატერია თავის თავად (вещь въ себѣ) არსებობს, ჩვენ გრძნობა-შეგნებაზე ის არ არის დამოკიდებული, მატერიასა და ამ მოვლენებს შუა არავითარი პრინციპიალური განსხვავება არ უნდა გვეგულებოდესო.

ამ ნაირათ—დემოკრიტე, სპინოზა, მე-18-ე საუკუნე, ფეიერბახი, და მარქს-ენგელსი, ასეთია ის ძაფი, რომელიც გაბმულია მატერიალიზმის ისტორიაში, ასეთია მისი განვითარების უმთავრესი საფეხურები.

მარქსმა ძალიან ადრე შეითვისა მატერიალისტური შეხედულება. ეს პირველად მის წვრილ ნაწერებში გამოიხატა, შემდეგ ამ შეხედულებაზე მან ააშენა თავისი უმთავრესი შრომა „კაპიტალი“.

აქ ის სწერს პირველ ფურცლებზე, რომ საქონელი არის გარეშე ნივთი, რომელიც სხვა და სხვა თვისებებით ადამიანის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებსო. ამ თვისების გამოჩენა ერთბაშათ არ შეიძლება, ის ისტორიულ წინმსვლელობაზეა დამოკიდებულიო. ჩვენ მხოლოდ მაშინ მოვიხმართ ამა თუ იმ საქონელს, როცა მის ნივთიერ ბუნებას გავიცნობთ მის მატერიალურ თვისებებს შევისწავლით,—ამაზეა დამოკიდებული საქონლის მოსახმარი ღირებულებაო. წარმოებაში ადამიანს ბუნებასთან აქვს საქმე, მას შეუძლია მხოლოდ ნივთის გარეგანი სახე შესცვალოსო. საქონელს რომ გამოვაკლოთ ყველაფერი, რაც იქ ადამიანის შრომით არის ჩადებული, ხელში დაგვრჩება ბუნებისაგან მოცემული ნივთიერება, რომელიც ჩვენზე დამოუკიდებლათ არსებობსო. კაცი წარმოებაში ენერგიას მატერიალურ ძალას კარგავს და ამ შრომაზეა დამყარებული საქონლის გაცვლელი ღირებულებაო. კაცს მატერიასთან აქვს საქმე. ის მხოლოდ მასალას ამუშავებს, თავისით არაფერს არ ქმნისო. საგანი-მოვლენა, ეს მატერიის სხვა და სხვა სახეს წარმოადგენსო*). ნივთიერება ჩვენზე მოქმედობს, ჩვენ თავში იდეურ ელფერს იღებს, აქ აზრათ ატებაო**). მატერიალურ ძალებზე ისკვება საზოგადოების საძირკველი, და ამ სირკველზე შენდება იდეოლოგია:—სარწუნოება, მეცნიერება, ხელოვნება, ფილოსოფია და სხვაო. ჩაიხედეთ საზოგადოების მატერიალურ ფორმებში და დაიხავთ მის იდეოლოგიას. არსებობა იწვევს შესაფერის შეგნებასო***).

---

*) იხ. სპინოზას **„Этика“** Положеніе VII, схолія.

**) იქვე—Пол. XII.

***) — — — VII.

„კაპიტალი“ ტ. I, 1, 2, 5, 7.

) —— მე-2-ე გამოცემა მარქსის წინასიტყვაობა.

*) Критика нѣк. положеній полит. экономіи—წინასიტყვაობა.

თის მკვიდრ მცხოვრებთა გარყვნა შეუძლიათ. ეს მუქთა ხორები მთელ სიცოცხლეს უსაქმობაში ატარებენ და რუსეთის მცხოვრებთა სისხლს ხარბათ ეწაფებიან".

— რუსეთში ბევრია „ინოროდცები"? იკითხა ერთმა დამსწრეთაგანმა.

მოხელემ მხიარული ღიმილით უპასუხა:

— დიახაც ბევრი გახლავს. ძალიან ბევრი არიან.

— დაახლოვებით რამდენი იქნებიან?

მოხელემ თითების მოკეცით დაიწყო გამოანგარიშება:

— ებრაელები ხუთი მილიონი, პოლონელები—10-ი, შემდეგ ქართველები, სომხები, თათრები, კალმიკები, ჩერქეზები, იაკუტები... ოცდა ათი მილიონი მოგროვდებიან.

ბანკირებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მთელი რუსეთის მცხოვრებნი კი 160 მილიონია?

— სრულიად ჭეშმარიტს ბძანებთ, თქვენო მაღალ ფინანსისტობავ!

— მათგან ერთ მეხუთედს, მაშასადამე, მუქთა ხორები შეადგენენ...საშიშია ფულის მოცემა...

მოხელე დაიბნა, მაგრამ ისევ მალე გონს მოვიდა.

— ნუ დაივიწყებთ,—ამაყათ წარმოსთქვა მან,—რომ რუსეთი ძლიერია გლეხობით. გლეხებშია მთელი ჩვენი ძლევამოსილება. ჩვენ ასი მილიონი მიწის მუშა გვყავს! თქვენ, რასაკვირველია, არ იცით, თუ რა დიდი ძალაა ეს.

— ეს მართალია—დაეთანხმენ ბანკირები:—ასი მილიონი მიწის მუშა—დიდი ძალაა. მუქთა ხორების ყოლისათვის ზედმეტ სარგებელს გადაგახდევინებთ, მაგრამ ფულის მოცემა შეიძლება.

მოხელეს სახე მთლათ გაუბწყინდა.

— აი, გლეხობის შესახებ რასა სწერენ!—მოისმა ერთი კუთხიდან.

ქაღარა შერეული ბანკირი „გრაჟდანინით" ხელში წამოდგა და კითხვა დაიწყო:

...„ჩვენი რუსი გლეხუკა გონება ჩლუნგი, რეგვენი და გაუნათლებელია. მას უნდა სცემო. მისთვის აუცილებელია სახრე. ის, სახრისა და მათრახის გარეშე, არაფრის ღირსი არ არის..."

— ეს რაღას ნიშნავს?

ბანკირებმა ხელახლა გადახედეს ერთმანეთს.

— უნდა მოგახსენოთ, ბატონებო,—აჩქარებით ჩაილაპარაკა მოხელემ,—რომ აქ არაფერი საშიშარი არ სწერია. თავადი მეშჩერსკი, რასაკვირველია, აზვიადებს.

— როგორ თუ აზვიადებს? თქვენ თვითონ არ გვირჩიეთ მემარჯვენე მიმართულების გაზეთები იკითხეთო?...

— მართალს ბრძანებთ, მართალს! მემარჯვენეთა გაზეთებში გაზვიადება არ იციან...

მოხელემ უეცრათ შეიცვალა კილო და რწმენით აღსავსე ხმით დაიწყო:

— მერე რა მოხდა! რას წარმოადგენს გლეხობა? ყველა ქვეყნებში გლეხობა დანარჩენ წოდებაზე უკულტურო ელემენტია. მთელი მნიშვნელობა ინტელიგენციას აქვს. ინტელიგენცია კი რუსეთში პირველი ხარისხის არის..

— სტუდენტებს თქვენში ინტელიგენტებათ სთვლიან?—იკითხა ვილაცამ დაცინვის კილოთი.

— რასაკვირველია, ინტელიგენტებათ სთვლიან. რუსეთის სტუდენტობა...

— აი ინებეთ და წაიკითხეთ აგერ მათ შესახებ რასა სწერენ.

ადგილიდან დაიძრა ჩასქელებული გვამი, რომელსაც თითები ბრილიანტებით ქონდა შეჭედილი. მას ხელში „კოლოკოლი" ეჭირა.

ჩასქელებულმა გვამმა დაიწყო კითხვა:

... „სწავლაზე გულაცრუებული ჩვენი ახალგაზდობა, რომელიც თავის თავს სტუდენტობას უწოდებს, მთლათ ჯიბგირებისა, უსაქმოებისა, მევახშეებისა და ყალბი ქაღალდების დამამზადებელ პირებისაგან შესდგება"

უკაცრავათ, ნება მიბოძეთ!—დაიღრიალა მოხელემ.—სტუდენტობა—მხოლოდ ნაწილია ინტელიგენციისა. არიან კიდევ ექიმები, ვექილები, მასწავლულები, მწერლები...

— მაგ უკანასკნელების შესახებ აი აქ, „რუსსკოე ზნამიაში" სწერენ.

მოლაპარაკემ დუბროვინის გაზეთი აიღო და შემდეგი სტრიქონები წაიკითხა:

... „რუსეთის ვექილები, გარდა პავლე ბულაცელისა, ყველა „მაშენიკები" (მატყუარები, პლუტები) არიან. ექიმები მოპარული ნივთებით ვაჭრობენ. კადეტების გავლენის ქვეშ მოყოლილი პროფესორები კი სამარცხვინო მეცნიერებას შესწავლის გარდა, საათების მოპარვასაც მისდევენ..."

რას იტყვით ამის შესახებ?

მოხელემ გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა, კისერზე შემოსალტული გახამებული საყელო გაისწორა. უცბათ ბედნიერმა აზრმა გაურბინა მას თავში. ის წელში გაიმართა და სთქვა:

— ბატონებო! ინტელიგენცია, გლეხობა და „ინოროდცები", შეიძლება, ცუდებიც იყონ...

ჩვენ ხომ ნაბძანები გვაქვს მემარჯვენეთა გაზეთებს ვერწმუნოთ... მაგრამ, სამაგიეროთ, ჩვენ გვაქვს სახელმწიფო დუმა...

ბანკირებმა ფინანსიური თავები გადააქნიეს:

— მართალია, მართალი? დუმა სწორეთ საყურადღებო დაწესებულებაა. გლეხებისა და ინტელიგენციის გამოცროტა სარგებელს კიდევ წაგიმატებთ, მაგრამ დუმის სახელით კი ფულებს უეჭველათ მოგცემთ.

— დუმის შესახებ სხვებზე უარესს რამეს სწერენ!—ჩაიბურდღუნა ვილაცას ბანმა.

— სად ვინ? როგორ ბედავენ?

— სა-ად? აი, ამ გაზეთში...

ბანის პატრონმა ჰაერში გაზეთი «სვეტი» შეაფრიალა.

ეს შეუძლებელია!

მაგრამ ბანმა ბოხი ხმით უკვე დაიწყო:

.. „აუცილებლათ საჭიროა გარეკილ იქნას უაზრო მოლაყბეთაგან შემდგარი ავაზაკთა ბრბო, რომელსაც თავრიდის სასახლეში მოუკალათებია. ესენი ყველა გიჟები, რეგვნები, დამარბეველი და ყაჩაღებია...

— ნუ დაუჯერებთ?—უნდოდა დაეყვირა მოხელეს: ყოველივე ეს სიცრუის ჩმახვაა.

მაგრამ მას მოაგონდა, რომ ნაბრძანები ქონდათ მემარჯვენე გაზეთებისათვის დაეჯერებიათ, და ხმა ჩაიკმინდა.

— ჩვენ კარგი მთავრობა გვყავს,—გაუბედავათ წაილაპარაკა მოხელემ: ვფიქრობ, რომ...

— კარგი მთავრობის სახელზე, რასაკვირველია, ფულის მოცემა შეიძლება, —დარბაისლათ ბძანა ერთმა ბანკირმა:— მაგრამ .. მოისმინეთ, რას სწერენ ამ გაზეთში.

მან აიშვირა ხელი, რომელშიდაც იალქანსავით ფრიალებდა „ზემშჩინა". გაზეთის მოწინავე სისინებდა:

... ყველა მინისტრები—ფარული კადეტები არიან. ყველას მოეხსენება, რომ პრემიერის კარეტა ყოველ დღე მილიუკოვის ბინასთან ჩერდება და საათობით იცდის შესავალ კარებთან. რაზე შეუძლიათ იბაასონ ერთათ პრემიერსა და კადეტების ბელადს? ცხადია, მტრებისადმი სამშობლოს მიყიდვაზე. საჭიროა ეიდკადეტური სამინისტროს გადაყენება...

ბანკირები ზეზე წამოიშალენ და წასასვლელათ დაემზადენ.

— მოითმინეთ! დაიყვირა სასოწარკვეთილმა მოხელემ:—არ წახვიდეთ. უმთავრესი კოზირი მე ბოლოსთვის შევინახე. ჩვენში არიან...

მან სული მოითქვა და, ხავს მოჭიდებული წყალ წაღებულივით, დაიღრიალა:

— ჩვენში არიან „კავშირისტები"?

ბანკირები შეჩერდენ.

— ეს ვინ-ღა უნდა იყვენ?

— „კავშირისტები? ო-ო! ეს სამი მილიონი „ჭეშმარიტი პატრიოტებია, რომლებიც შეფიცული არიან ან დაიხოცონ, ან რუსეთი იხსნან... ესენი საუკეთესო, პატიოსნებით სავსე ხალხი არიან...

— ვიცი, ვიცი!—მოესმა მოხელეს დამცინავი ხმა:—ესენი სწორეთ ისინი ბრძანდებიან რომლებზედაც ამას წინათ „კოლოკოლი" სწერდა:

... საჭიროა „რუსთა ხალხის კავშირი" გაიწმინდოს წვრილ-ფეხა „ჟულიკებისაგან", თავლაფიანებისაგან და ხულიგნებისაგან. ეს ერთი მიზეზთაგანია, რამაც ჩვენ გვაიძულა „კავშირს" გამოვყოფოდით...

ღონე მიხდილი მოხელე მოწყვეტით სკამზე დაეშვა, და როდესაც ბანკირები დარბაზიდან გალაგდენ, ის ბზიკ-ნაკბენივით ადგილიდან წამოიჭრა და გაფითრებულმა ფეხებით თელვა დაუწყო „მეგობრულ" გაზეთებს.

— ოხ, დაწყევლილებო! გაკიოდა ის, როდესაც „კოლოკოლის", „რუსკო ზნამიას" და „ზემშჩინას" ფურცლებზე ცეკვავდა,—თვითონვე მობრძანდებით შემდეგ „სუბსიდიის" სათხოვნელათ, თქვენი პირ-მოხსნილი მყრალი ქეიფით-კი ბანკირებს აფრთხობთ...

ამ სიტყვებთან ერთათ, ის გაშმაგებული ფხრეწდა ქუსლებით „მეგობრული" გაზეთების ფურცლებს.

ი. ლ. და,ორ. (უ. რ.)

წერილები სპარსეთიდან

ქ. ხოიდან თავრიზამდე.

სალამოს 5 საათზე შევედით ადერბეიჯანში ყველაზე დიდ სოფელ დიზოხალილში, რომლის სიგრძე ექვსი ვერსი იქნება და რამდენიმე ათასი მცხოვრებია. აქ არის შესანიშნავი ბაღები და ამ სოფლიდან ქ. მარანდზე რუსეთში დიდძალი ხილეულობა და ყურძენი გააქვთ... მთელი სოფლის მცხოვრებნი კარგა ჩაცმულ-დახურული გამოიყურებიან. ქუჩები სუფთა და ბარიკადებით გაკრულია—ეს სოფელი შახის მომხრეა და სასტიკი რეაქციონური.

ჩვენ მიგვიღო ერთმა შეძლებულმა გლეხმა და ბინა მოგვცა მეორე სართულში ხალით მოგებულ ოთახში, სადაც „ქურსი" გამთბარი დაგვხდა და ბუხარიც გაჩაღა. ოთახის კედლის თახჩა-თაროებზე სპილენძის, თიხის ჭურჭელი და სამი სამოვარი ელაგა; კედელზე თამბაქო—ტბილეულობა ყუთის დახატული ქალისა და სხვა სურათები იყო აწეპებული, ფანჯრებთან რამდენიმე აბრეშუმის ნაჭერი მიკიდული, რომელზედაც მოქარგულია მთვარე-მზის სახე ბრჭყვიალა თანაქის ნაჭრებით. ჩვენ მოვიკეცეთ „ქურსის" გარშემო მუთაქა-ლოგინზე, ფეხები შევაწყეთ ნალვერდალში, მასპინძელმა ლამპა მოიტანა და სამოვარი დაგვიდგა.

დღეს ახალი წელიწადი სალამოა და გვსურს რაც შეიძლება კარგათ შევხდეთ მიმავალ ახალ დღეს. ჩაის შემდეგ ცხვრის ბოზბაში მოგვიტანეს და შემდეგ ყურძენი და ხილეულობა. ჩვენ ამ ხილით მოვიგონეთ ჩვენი ბავშვობა, ოჯახი, მეგობრები და დროებით, აზრით მათთან გადავფრინდით. ჩვენ „ჩალვადარს" უხარია, რომ მხიარული მგზავრები შეხვდით და მადიანათ ილუკმება. . 2 იანვარს დილა ადრიან ვისაუზმეთ, ოთხი კაცის დანახარჯი და ღამის გასათევი სამი მანეთი ფული მივეცით მასპინძელს და თავრიზისკენ გავემგზავრეთ.

გამოჩნდა სოფ. ალვარი, მთანი და მდ. აჯი-ჩაი. ამ სოფლებიდან თავრიზს ალყა ქონდა შემორტყმული რეაქციონერებისაგან, აქ მრავალი რევოლიუციონერი დაიღუპა და ახლა აქ რევოლიუციონერების რაზმი დგას.

ჩვენ გვერდი ავუქციეთ რუსეთის სამხედრო გზას, რომელსაც რუსის ჯარი იცავს და დასავლეთიდან შევყევით სასოფლო გზას. გავიარეთ სოფ. კარამალიკი, სადაც სამადხანის უმთავრესი ძალა იდგა, რეაქციონერები ბატონობდენ და შეღამებისას შევედით თავრიზის განაპირა ბაღებში. ბარიკადებათ ნაქცევი კედლები აულაგებიათ, თხრილ-ორმოები ამოუვსიათ, ზოგი ტყვიებით დახვრეტილი სახლები შეუკეთებიათ, მხოლოდ რეაქციონერებისაგან დამწვარი სახლები ღამის წყვდიადში და თოვლის სინათლეზე შავათ გამოიყურებიან. შევედით განაპირა ქუჩებში, აქ მოსჩანს წითლათ დანომრილი ფანრები რიგზე ჩამწკრივებული, ტელეფონის, ტელეგრაფის სვეტ-მავთულები გასწორებული და გაკეთებულია.

ცხრის ნახევარზე ჩვენ სათარხანის სასახლის კარებთან ჩამოვხტით, სადაც მოულოდნელი მისვლით გაკვირვებული კარის კაცნი მოგვცვივდენ და მისაღებ ოთახში შეგვიყვანეს.

ოთხი დღის ცხენით მგზავრობის შემდეგ ხოიდან შევედით თავრიზს—სათარხანისას, სადაც ყოველივე ძველებურათ გვეჩვენა, გარდა რამდენიმე ცვლილებებისა. შეიარაღებული მუჯაიდები ეზო-კარებში იდგენ, მდივანი და რამდენიმე მოხელე სამართველო ოთახში ისხდენ მაგიდასთან და „საქმის" ქაღალდებს არჩევდენ. სარდალი (სათარხანი) მეჩეთშია წასული სალოცავათ და ახლავე მოვაო—გვითხრა მოსამსახურემ, რომელმაც ჩაი მოგვიტანა. პირველათ მკითხეს როგორ არიან აქედან წასული გურჯები, შემდეგ თეირანის ამბავი და რუსეთ-იაპონიის ომი თუ იქნებაო!

უცებ ყველანი ზეზე ადგენ: „სარდალი მოვიდა და შემხვედრმა მეკარემ ვერცხლის დიდ ჯოხს ხელი წამოავლო და კარებში გაჩერდა. *) სათარხანი ცოცხლათ შემოვიდა, მაგრათ ხელი ჩამოგვართვა და მშვიდობით მგზავრობა მოგვილოცა. როცა ლეილას მგზავრობა გაიგო წამოიძახა: ქართველები რომ მამაცი ხართ ეს ვიცოდი, მარა ქალებშიაც თუ ასეთები იყვენ ვერ წარმოვიდგენდიო!

ეხლა სამგლოვიარო დღეები იწყება ირანში, რამდენიმე დღის ლოცვა-გლოვის შემდეგ იწყება თავის ჩეხა, „შახსეივახსეის" გოდება-ტირილი და ამ მოგონებას ძლიერი ფანატიზმით ასრულებენ შიიტის სარწმუნოების მაჰმადიანები (სუნიტები—ოსმალი და სხვა მაჰმადიანები არ ასრულებენ ამ ჩვეულებას) და მთელი ირანი გლოვის ძაძით არის მოცული, ამ დღებში ქრისტიანების მიღება, მათთან გავლაც კი აკრძალულია მარა რევოლიუციამ ცოტა შეარყია ეს წესები... ამიტომ სათარხანმა თავის ოთახებში ვერ მოგვცა ბინა ამ გლოვის გამო და იქვე სამმართველოს მეორე ოთახი დაგვითმო. გაგვიმართეს ვახშამი, შემდეგ მან რამდენიმე ეპიზოდი მიამბო არდებილის ბრძოლიდან:

„პირადი შურით და მტრობით დაბრმავებულმა სახელმწიფოს ზოგიერთმა მეთაურებმა არ მომაშველეს თავის დროზე ჯარი არდებილში. ამით ისარგებლეს რეაქციონერებმა და მოიტანეს სასტიკი იერიში ქალაქზე... მცხოვრებლები შიშმა შეიპყრო, რეაქცია გაძლიერდა ჯარშიაც, რასაც ხელი შეუწყო ერთ-ერთ სახელმწიფოს კონსულმა, რომელმაც ფულით მოიყიდა რამდენიმე პირნი და გაიჩინა აგენტები. რახიმ-ხანი გათამამდა, ქალაქის გარშემო მცხოვრებნი შიშით დაიმორჩილა, მთებში და ბარში დიდძალი ჯარი მოაგროვა (20.000—30,000!) და ქალაქის ბჭენი დაანგრია, მცხოვრებლებს კონსულმა მიმართა: ნუ უყურებთ სათარხანს, ის ქალაქს ვერ დაიცავს, მოდით ჩემ საკონსულოში მე დაგიფარავთო!.. ხერხმა გასჭრა და არა თუ მცხოვრებნი და ვაჭრები, არამედ თვით ჩემმა მუჯაიდებმაც იწყეს საკონსულოში წასვლა რეაქციონერების შიშით. დავრჩი მცირედი გუნდით, რამდენიმე დღე მოზღვავებული მტრის ძალა შევიმაგრე და რეაქციონერების მხრივ 1500 კაცი ბრძოლის ველზე მოკლულ-დაჭრილები დავყარე, რომელთა შორის აფიცრები და ჯარის კაცნიც იყვნენ!..

ამ დროს ქალაქი გატყდა შიგნით კონსულის შემწეობით, მცხოვრებნი ამიჯანყეს, ათასი ცილი დამწამეს და როდესაც ყოველივე შიშმა შეიპყრო, კონსულმა გაბედა წინადადება მოეცა ჩემთვის მისთვის შემეფარებინა თავი!

ამაზე მეტი დამცირება აღარ იქნებოდა ჩემთვის! არა, ეს მეტის მეტი იყო ჩემი სამშობლოსათვის—ჩემთვის და ზოგი ტაქტიკური მოსაზრებით მას საკადრისი პასუხი არ გავეცი, ეს ვუთხარი მხოლოდ: სანამ სათარხანი თქვენ ბინას გთხოვდეთ, მანამდე ჩემი ხელით მოვიკლავ ჩემ თავს! განა ჩემ სამშობლოში რევოლიუციონერების, ხალხის სისხლით მორწყულ მხარეში, სადაც თავისუფლების დროშა ფრიალებს, იქ თქვენ გთხოვთ ბინას? არა და ათასჯერ არა! თქვენ შე-

---

*) მეკარეს გვერდზე ლენტი აქვს გადაკიდებული და ხელში დიდი ვერცხლის ჯოხი (ყავარჯენი) უკავია, ისეთი, როგორც ეპისკოპოზებს, სარდალი სადაც წავა, ის კაცი წინ მიუძღვის.

ავ.

ამ აზრებს ატარებდა ენგელსიც საზოგადოთ თავის ნაწერებში, და კერძოთ, როცა ის დიურინგს ეკამათებოდა[4].

ცხადია, რომ მარქსი და ენგელსი მატერიალისტები იყვენ, ამათ შეავსეს მხოლოდ და შეასწორეს ის მატერიალიზმი, რომელიც ფეიერბახისა და სხვა ძველი მოაზრებისაგან იყო გადმოცემული.

ძველ მატერიალიზმს რაღაც განყენებული, თეორეტიული ხასიათი ქონდა, მარქსმა მოსპო ეს ნაკლი, და თეორია პრაქტიკას დაუახლოვა.

ძველი მატერიალისტები ამბობდენ, ბუნება მოქმედობს ჩვენზე და ამით აიხსნება ჩვენი შემეცნებაო. მარქსმა კი სთქვა, მარტო ბუნება კი არა, თვითონ ადამიანიც მოქმედობს წარმოების დროს ბუნებაზე, და ამასობაში თანდათან ეცნობა მის მოვლენებსო. ძველი ფილოსოფოსები კაცის პრაქტიკულ მოქმედების ყურადღებას არ აქცევდენ, ისინი მარტო შორიდან უკვირდებოდენ ქვეყნიერებას. ჩვენის აზრით კი ადამიანმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ ქვეყნიერების შეცვლაშიო[5]

ჩვენ ახლო მახლოს, მგონია, მოიპოვებიან „ჭკუიანი" კაცები, რომლებიც ამბობენ, მარქსის ფილოსოფია პიროვნების დაქვეითებას, გაქარწყლებას ნიშნავსო. ვითომ ეს პიროვნება გულხელდაკრეფილი უნდა იჯდეს და უცადოს რაც მოხდება, მოხდებაო. რა კარგი იქნებოდა, რომ ამ „ჭკუიან" კაცებს მარქსის ნაწერებში ფილოსოფიური აზრები დაკვირვებით ამოეკითხათ. მაგრამ ჩვენ ეხლა ამ კაცებთან საქმე არა გვაქვს.

ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდოდა, რომ მარქსის მოძღვრებას რევოლიუციონური ხასიათი აქვს. ახალი მატერიალიზმი დიალექტიურია და ამით გაირჩევა ის კიდევ ძველი მატერიალიზმისაგან. უწინდელ მოაზრეებს ეს იარაღი არ გააჩნდათ, და ამიტომ მათ ვერ გამოიყენეს თავისი მატერიალისტური შეხედულებები. აი, მაგალითად, კითხვა: ბუნება ხომ ერთ წერტილზე არ ჩერდება, საგანი ხომ შეუწყვეტლათ იცვლება, მერე როგორ შეიძლება, რომ ამას ჩვენი შეგნება შევუთანხმოთ, გადაჭრილ აზრებს, ხელის მოსაკიდებელ ფორმულებს ხომ თავის დღეში ვერ ვიქონიებთ, მაშ სად არის ის ობიექტიური ჭეშმარიტება, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ? ძველმა მატერიალისტებმა ვერ შესძლეს ამისთანა კითხვების ახსნა. მე-18-ე საუკუნის ფილოსოფოსები ძალიან სცდილობდენ, მაგრამ, ისტორიულ მოვლენებს ვერას გზით ვერ მიუდგენ.

ეს მოახერხეს მარტო მარქსმა და ენგელსმა დიალექტიური მეთოდის მეოხებით. მე გავიცანი საგანი ჩემზე მოხდენილი შთაბეჭდილებების საშვალებით. ეს ცოდნა ჩემთვის ობიექტიური ჭეშმარიტებაა. ამით შემიძლია მე ვისარგებლო და ხელი შევუწყო იმ ცვლილებას, რომელიც უნდა მოხდეს საგანში თუ მოვლენაშიო. თუ ეს ჭეშმარიტება მართალი გამოდგა, რა თქმა უნდა ის განხორციელდება და მაშასადამე მოისპობა კიდეც,—მის ადგილს ახალი ჭეშმარიტება დაიჭერსო. ამაში თვითონ პრაქტიკაა ჩვენი თავდები, პრაქტიკულ მოქმედებაში ვნახავთ უტყუარ საზომს. მარქსი ამბობს პრაქტიკით უნდა დაამტკიცოს კაცმა, მართალი წარმოდგენა აქვს იმას საგანზე თუ არაო *). ამას იმეორებს ენგელსიც. რა ვიცით ჩვენ—კარგათ ვიცნობთ ამა და ამ ნივთს თუ არაო? ამის პასუხს პრაქტიკაში ვნახავთო, ამბობს ის, თუ ეს ნივთი გამოვიყენეთ, როგორც გვინდა, ალბათ მისი თვისებებიც გაგვიგია, შთაბეჭდილებებს არ მოვუტყუვებივართო. **)

ასე მარქსმა და ენგელსმა ფილოსოფია ზეციდან ძირს ჩამოიყვანეს და ზედ პრაქტიკული პროგრამა ააგეს.

ობიექტიური ეკონომიური განვითარება საზოგადოებას ორ ნაწილად ყოფს,—ეს მატერიალური მოვლენა შეგნებაში გადადის და კლასთა ბრძოლას იწვევს. პროლეტარიატი იგებს კაპიტალიზმის თვისებებს, იცის რომ ეს წესწყობილება აუცილებლად შეიცვლება, და ეს ობიექტიური ჭეშმარიტება იმას ბრძოლას უადვილებს. გამოაცალეთ ეს ფილოსოფიური სარჩული ჩვენ ინტერნაციონალურ პროგრამას, და ის ნაკუწ-ნაკუწათ დაირღვევა, მეცნიერულ სოციალიზმს ნიადაგი აღარ ექნება. ამიტომაც ჩვენი ბურჟუაზიული „კრიტიკოსები გულმოდგინეთ „არღვევენ" მარქსის ფილოსოფიურ მოძღვრებას;—იდეალიზმის წინ მუხლი მოიყარეთო, გვეუბნებიან და სწორეთ ამ გზას ადგანან ჩვენი „მარქსისტ"-მახისტებიც. გავიცნოთ ეხლა მახის ფილოსოფია.

ს. დევდარიანი.

---

[4] ენგელსის—„Антидюрингъ"

[5] ენგელსის «Л. Фейербахъ»—მარქსის ტეზისები ფეიერბახზე.

*) Л. Фейербахъ—მარქსის ტეზისები.

**) იქვე—ენგელსის წინასიტყვაობა ინგლისურ გამოცემაში.

გიძლიათ სხვას მისცეთ ბინა. მე კი, სათბრხანს, ხალხის მიერ არჩეულ სარდალს, დასამალი და თქვენთან შესახვეწარი არა მაქვს რა; თუ სიკვდილი მომელის—მოვკვდები იქ, სადაც თავისუფლების მებრძოლნი დაიხოცენ უთანასწორო ბრძოლაში, თუ არა, შევსძლებ გავიკაფო გზა, გავიდე აქედან, სადაც ყოველივე ღალატით და ხაფანგითაა დაგებული. ქვეყანას ვამცნო მტერ-მოყვრის ამბავი, შევკრიბო ძალა და კვლავ დარაჯათ ვედგე ტანჯულ სამშობლოს და მის ხალხს!.. ორმოცდა-ათი კაცით გავარღვიე მტრის რაზმი და თავრიზში მოვედი, სადაც პასუხი მოვთხოვე ადერბეიჯანის გენერალ-გუბერნატორსო—გაათავა სიტყვა თავრიზის გმირმა და მისი ლაპარაკი ამტკიცებს, ამ უსწავლელ წერა-კითხვის არ მცოდნე კაცში რა ცეცხლი ღვივის, ან რა ენერგია-აღფრთოვანება...

5 იანვარს ვინახულე სედრაკა ბანვორიანცი, რომელმაც გამაცნო ადგილობრივი ს. დ. მუშაობა და პოლიტიკური მდგომარეობა თავრიზში. მეორე დღეს ვნახეთ ადგილობრივი ს. დ. მომუშავენი არშაკი ჩილიგარიანცი და პაიკა. ამათ დანიშნული ქონდათ ს. დ. კრება, რომელზედაც უნდა წაეკითხათ ს. დ. მოხსენება და სპარსეთის საერთო მდგომარეობის შესახებ ელაპარაკნათ.

გლასა მგელაძე·

ქ. თავრიზი. 11 იანვარი.

უკანასკნელი ფოსტა

ახლო-აღმოსავლეთი

კრიტოსის მდგომარეობა. კრიტოსის მცხოვრებნი თავიანთი სურვილის განსახორციელებლათ ახალ საშუალებას დასდგომიან. „რ. ვ.“ კორესპონდენტის სიტყვით, ვენიზელოსი და კრიტოსის სხვა გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები საბერძნეთის მოქალაქეებათ ჩაირიცხებიან და დამფუძნებელ კრებაში შევლენ როგორც მკვიდრი ბერძნები.

სამხედრო ლიგის მანიფესტი. 30 იანვარს ათონში გამოაქვეყნეს სამხედრო ლიგის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება. ც. კომიტეტი აფიცრებს წინადადებას აძლევს პოლიტიკას თავი დაანებონ და სამხედრო საქმეებს მოკიდონ ხელი. ამ მანიფესტმა პოლიტიკურ წრეებში დამამშვიდებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

შორეული აღმოსავლეთი.

მღელვარება ჩინეთში. პეკინიდან იტყობინებიან, რომ უცხოელების წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა დღითი-დღე იზრდება. მთელ ჩინეთში გამალებული ფულის კრებაა, რომ გარეშე სესხი გასტუმრებულ იქნას. ნაციონალურ მოძრაობასთან ერთათ ჩინეთში ფართო ხასიათი მიიღო კონსტიტუციონალურმა მოძრაობამაც. როგორც ვიცით, უმაღლესმა საბჭომ უარი განაცხადა პროვინციალურ საბჭოების დეპუტატების მომავალ წელში პარლამენტის მოწვევაზე. ამ გარემოებამ პროვინციალურ დეპუტატებს შორის დიდი მღელვარება გამოიწვია. პროვინციიდან ყოველ დღე ცნობებს ღებულობენ, რომ იქ საიდუმლო მიტინგები იმართება.

რუსეთი

შიმშილობა ციხეში. პეტერბურგში, ლიტოვის სატუსაღოში შიმშილობა გამოაცხადეს ტუსაღებმა. ამ შემთხვევის გამო სახელმწიფო დუმაში შრომის ჯგუფი შეკითხვის შეტანას აპირებს.

მარკოვის ლექცია. მარკოვ მეორე დუმის ხუთმეტი სხდომიდან დაითხოვეს. მარკოვმა თავის შესაფერებლათ ლექციების კითხვას მიყო ხელი. მან ერთი ლექცია „რუსთა საკრებულოში“ წაიკითხა შემდეგი სათაურით: შეუძლიათ ებრაელებს მომრიგებელ მოსამართლეებათ იყვენ თუ არა?“ ლექციას დაესწრო მემარჯვენეთა ფრაქცია მთელი შედგენილობით. მარკოვმა გულის წყრომა გამოსთქვა იმის გამო, რომ დუმამ მიჩქმალა ებრაელთა საკითხი და ამით მათ გზა გაუხსნა მომრიგებელ მოსამართლის თანამდებობისაკენ. ამ გარემოებას მარკოვი იმით ხსნის, რომ დუმა დამორჩილებული ჰყავს ფულის მქონე ებრაელებს. ყოველ შემთხვევაში,—განაცხადა ლექტორმა,—საჭიროა ებრაელებს მედგარი წინააღმდეგობა გავუწიოთ ყველაფერში. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მე ებრაელების დანაწილებისათვის გიწვევთ,—დაწიოკების დროს ჩვენ მხოლოდ ვიმოქმედებთ და არავითარი წინდაწინვე მოწოდება საჭირო არაა“.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. პიატიგორსკის იურიდიულმა კომისიამ მიმართა პიატიგორსკის, კისლოვოდსკის, გეორგიევსკის, კიზლიარსკის და მოზდოკის ქალაქის საბჭოებს და სთხოვა შეერთებულათ იშუამდგომლონ ნამესტნიკის, სამხედრო მინისტრის და სახელმწიფო დუმის წინაშე რომ თერგის ოლქში შემოღებულ იქნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

საზღვარ-გარეთ

მუშათა პარტიის ზრდა. ნიუპორტში (ინგ.) მომხდარ მუშათა პარტიის კონფერენციაზე გამოირკვა, რომ ერთი წლის განმავლობაში პარტიას მომატებია 330,000 წევრი. კონფერენციის პირველი რეზოლუცია მოითხოვს ბილის გატარებას, რომლითაც უნდა დაკანონდეს ტრედუნიონის წევრებისაგან სავალდებულო წვლილის გადახდა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის შესანახავათ. ფულს ტრედუნიონის წევრები აქამდისაც აგროვებდენ დეპუტატების შესანახავათ, მაგრამ ლორდების მეცადინეობით უკანასკნელ ხანებში მათ ეს უფლება მოუსპეს.

„დიდი დღე“. საარჩევნო კანონ-პროექტის განხილვის დღეს პრუსიის ლანდტაგში დიდი ინტერესით მოელოდენ. პალატის დეპუტატებს წინდაწინვე აღელვება ემჩნეოდათ. რადგან დემონსტრანტებთან შეტაკებას მოელოდენ, პრეზიდიუმის განკარგულებით დეპუტატები და მინისტრები პალატაში შედიოდენ განსაკუთრებული შესავალი გზით. პალატის კარებზე განცხადება იყო გაკრული, რომ შესავალი ბილეთები ყველა დარიგებულია. ჟურნალისტების და გარეშე დამსწრეთა ლოჟები სრულიად გაჭედილი იყო. როგორც კი პრემიერ მინისტრი—ბეტმან-გოლვეგი გამოჩნდა და შესავალ სიტყვის წარმოთქმას აპირებდა, სოციალ-დემოკრატებმა საშინელი ხმაურობა ასტეხეს, ხშირათ მოისმოდა მინისტრის ადრესზე: „ფუი“! მემარჯვენე დეპუტატები ჯერ დაიბნენ და არ იცოდენ, რა ექნათ. შემდეგ-კი მათი მხრიდანაც გაისმა: „ხმა ჩაიგმინდეთ, გაეთრიეთ“! ამის საპასუხოთ განმეორებით მოისმა: „ფუი“! თავმჯდომარე გამალებული აწკარუნებდა ზარას, მაგრამ უნაყოფოთ. გაფითრებული პრემიერი თავის ადგილზე უძრავათ დგას. დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ წესიერება აღდგენილ იქნა.

„ფორვერტსმა“ გამოაქვეყნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდება, რომელიც ენერგიული ბრძოლისკენ იწვევს მუშებს.

შრომის ბირჟები. კაპიტალიზმის სამშობლო ქვეყანაში, ინგლისში, მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინათ გაიხსნა „შრომის ბირჟები“. მართალია, ეს გასაკვირალი მოვლენაა, მაგრა ეს ფაქტია. როგორც „რან. უტ.“ გადმოგვცემს, გასულ კვირაში მარტო ლონდონში გაიხსნა 21 შრომის ბირჟა, პროვინციებში გახსნილ შრომის ბირჟის რიცხვი 64-უდრის. გახსნისათანავე შრომის ბირჟებს აუარებელი უმუშევრათ დარჩენილები მიაწყდენ. ერთი ადგილიდან მეორეზე გადასასვლელათ უმუშევართ ეძლევათ ტანისამოსისა და გზის ფული.

პროვინცია

ბათომი. 25 იანვარს მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა. თუმცა ფრიად სერიოზული საკითხი იყო გასარჩევი, განხილვა და დამტკიცება ბათომის 1910 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის, მარა ხმოსნები მაინც გვიან და ისიც მხოლოდ ცხრამეტამდე შეიკრიბენ. სხდომა გაიხსნა ქალაქის თავის გ. ჟურულის თავმჯდომარეობით. საბჭომ განიხილა და უცვლელათ მიიღო 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. საერთო ჯამი შემოსავლისა უდრის 471,175 მ. 25 კ. შემდეგ უცვლელათ მიიღეს ქალაქის დაწესებულებებში მოსამსახურე პირთა პენსიების საკითხი, რაც უდრის 5100 მ შემდეგ თავმჯდომარემ მოახსენა საბჭოს, რომ ფინანსიურმა კომისიამ ხარჯების შესამოკლებლათ გადასწყვიტა შემცირებულ იქნას შტატი მოსამსახურეებისა (ქუჩების დამგველები, მეღორგეები და სხ.) და დააკლო მოსამსახურეებს 5—15 პროც. ჯამაგირებზე. ხმოსანი მავროპულო მხარს უჭერს ფინანსიურ კომისიის დადგენილებას და ამბობს, რომ ის დრო, როცა ქალაქს ბევრი ფული ქონდა და მოსამსახურეებიც არხეინათ იყვენ, წავიდა. მოსამსახურეებიც ვალდებული არიან ქალაქის ასეთ მდგომარეობაში შევიდენ, თორემ მალე ფული აღარ გვექნება და თვითმართველობა დაიკეტება. ხმოსანი სოლოროვი წინააღმდეგია მოსამსახურეთა შტატის შემცირებისა და ჯამაგირების დაკლების. ასეთი გაჭრული საქციელი,—სთქვა მან,—თვითმართველობას არ შეეფერება. უფრო პრაქტიკულათ მიაჩნია მოხდეს შეფასება შრომისა და ამის მიხედვით ჯამაგირების განაწილება. მუშების დათხოვნა კი გამოიწვევს უსუფთაობას, რადგან სახლის პატრონები თავისით არ დაგვენ ქუჩას და ეზოს, და ურჩევს საბჭოს, რომ უმჯობესი იქნებოდა 2—3 სახლის პატრონს ხელფასი გადაეხდევინოთ, მუშებსაც შეინახავს და ცოტა რამ კიდევ გადაურჩებათ. შემდეგ ის პასუხს აძლევს მავროპულოს და კითხებს, სად იყვენ ხმოსნები, ქალაქის საკეთილდღეოთ, გადამდებ სენით ავადმყოფთა ბარაკების აშენების დროს, როცა ფული ათასობით იხარჯებოდა, შენობა კი ორი არშინით დაბალი აშენეს სადღაც ჭაობში. ან და მაშინ როცა ელექტრონის სადგურის სპილენძის მავთულის მაგიერ რკინის მავთულები გააკეთეს, ნ-და როცა ჭაობებს აშრობდენ და აჭაობის აგიერ ქალაქს კისა დამრტეს. ახლა აღიმაღლეთ ხმა, როცა სხვის ჯამაგირზე მიდგა საქმე. შემდეგ ხმ. მდივანი ნათლათ უმტკიცებს თორვე საშუალების უვარგისობას და იმ შედეგებზე, რაც ჯამაგირების შემოკლებას და მოსამსახურეების დათხოვას მოყვება. წინადადებას იძლევა კითხვა ჯამაგირების დაკლებაზე გამოყოფილ იქნას მეორე კითხვისაგან და ცალ-ცალკე გაირჩეს. შემდეგ ლაპარაკობს ბ ქოქოძე ამ დადგენილების უხერხულობაზე. დასასრულ კენჭის ყრით 11 ხმით წინააღმდეგ 8 ხმისა გადასწყვიტეს არ შეამცირონ ჯამაგირები და არც მუშები დაითხოვონ.

— 24 იანვარს დანიშნული ლექცია ადნიევისა და პაპისოვისა, ხალხის დაუსწრებლობის მიზეზით არ შესდგა.

მუშათა შორის

ფოთი. ნოქარ-შეგირდთა ცხოვრებიდან. აქაურ ვაჭრების თავგასულობამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. ნოქარ-შეგირდებს ისე ეპყრობიან, როგორც ბატონი ყმას. ცემა-ტყეპა, უმიზეზოდ დათხოვნა და სხვა ამ გვარები ყოველ დღიურ მოვლენათ გადაიქცა. ეჭვი არაა ნოქარ-შეგირდთა ასეთი დაბეჩავების მიზეზი მათი შეუგნებლობა და შეუკავშირებლობაა. თავგასული ვაჭარი ისე ექცევა, როგორც მას სურს, ხმის გამცემი არავინ არის. ვაჭარ-ნოქართა ასეთ ურთიერთობის უფრო ცხადად დასასურათებლათ მოვიყვან ერთ ფაქტს: ფოთის ვაჭარ გ. ცავას და მის ამხანაგს, ე. კვარცხას ჰყავდათ აყვანილი ხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბავშვი, ერთი წლის ვადით, უჯამაგიროდ, ხოლო ერთი წლის შემდეგ ჯამაგირი უნდა დაენიშნათ. ასეთი სიტყვიერი პირობა ქონდათ მიცემული.

გავიდა ერთი წელიწადი. შეგირდმა ვაჭრობის ყველა წესები კარგად შეისწავლა, ადებიც მადლიერი იყვენ, მაგრამ მიდგა თუ არა ჯერი ჯამაგირის დანიშვნაზე. ადებმა ტაქტიკა შესცვალეს. დაუწყეს წამ და უწუმ ლანძღვა გინება და ერთხელ შუა ბაზარშიაც კი სცემეს. თურმე ყველა ეს იმიტომ დასჭირდათ ადებს, რომ უნდოდათ იძულებულ ექნა ბავშვი და გარეთ გაეგდოთ, და კიდევაც მიაღწიეს მიზანს. შუა ბაზარში შიშველ-ტიტველი ბავშვი ქუჩაში გამოუძახეს და პატრონს ასე უთხრეს—თვითონ ბავშვს არ სურს ჩვენთან დადგომაო პატრონმა ისევ მიუყვანა შემდეგ, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში ისეთი დღე დააყენეს ბავშვს, რომ აიძულეს დროით გაცლოდა იქაურობას. ამისთანა მაგალითები მრავალია. დღეს ადებს ფრიად აღძრათ უზომო ექსპლოატაციის მადა და სარგებლობენ კიდეც დრო და გარემოების მიხედვით.

პ. ფ.

ქ. სარეპტა. ქალ. სარეპტა მდებარეობს მდ. ვოლგის ნაპირზე, სარატოვის გუბერნიაში ქ. ცარიცინიდან მოშორებულია 20 ვერსით. აქ მდ. ვოლგაზე გემებით მოაქვთ სხვა და სხვა საქონლები. მუშები ბევრია, უმეტესათ რუსები, მაგრამ სამწუხაროთ ფრიად შეუგნებლები არიან და უმოწყალოთ იყვლიფებიან. სწორეთ ეს მათი შეუგნებლობაა იმის მიზეზი, რომ სამუშაო ხელფასი ძიერ დაცემულია.

გასული წლის სექტემბრის ბოლო რიცხვებში ვლადიკავკაზის რკ. გზის მეხუთე განყოფილების უფროსმა ბ-ნმა ვენსკიმ შეადგინა მუშათა არტელი. ამ არტელში 30 ქართველი მუშა ირიცხება. სამუშაო პირობებს არა უშავს. მუშებიც სინდისიერათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ეჭვი არაა მომავალ ზაფხულისათვის არტელი უფრო გაფართოვდება და მეტი მუშა ხელი იქნება საჭირო. რაც სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ამ უმუშევრობის დროს.

ვოლგის-პირელი.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისის თეატრი. „ჰამლეტი“ ერთი უშესანიშნავესი ქმნილებაა ადამიანის შემოქმედებითი გენიისა. მსოფლიო ლიტერატურაში ამგვარი ნაწარმოები ბევრი არ მოიპოება. „ჰამლეტი“ მით არის უკვდავი, რომ მას საფუძვლად ღრმა ფილოსოფიური აზრი უდევს. თვით პრინცი ჰამლეტი ფილოსოფიურ-პესიმისტია. შუდმივი ბრძოლა აზრთა და გრძნობათა შორის, მუდმივი ჭიდილი სულის მისწრაფებათა და მისი პასუხი, ადამიანური ბუნების შორის—აი წყარო ჰამლეტის სულის დაუდეგარი შფოთვისა, აი დასაბამი მის მაგ ფიქრთა და მწარე გრძნობათა. გონების კარნახი, გარკვეული მსოფლიო-მხედველობა, გრძნობათა შფოთვა ერთი მხრით—სისუსტე, უენერგიობა, იჭვი და მუდმივი ყოყმანი მეორე მხრით... გარემოებანი ჰამლეტს იწვევენ საბრძოლველათ. აქ დაპირდაპირებულია ორი მოსისხლე მტერი: ჰამლეტი და თვით ცხოვრება მთელი მისი საბინძურით—მეფის სასახლე-ეს სადარო ყოველგვარი ბიწიერების და გარყვნილების, ჰამლეტმა მედგარი და პირდაპირი იერიში უნდა მიიტანოს. მტერზე... გადაწყვეტილება ითხოვს შესრულებას... მაგრამ ის დრკება, ყოყმანობს, „ყოფნა არ ყოფნაო“ ეკითხება თავის თავს. გრძნობა და გონება მოუწოდებენ მაგრამ ამაოთ: ჰამლეტის მკლავი მოდუნებულია. ჰამლეტის ბუნება იპობა ორათ, მისი სული იხევა შუაზე: ერთი ნახევარი მიილტვის მეორე უძლურათ თრთის და კანკალებს. მათი შერიგება შეუძლებელია. შინაგანი მთლიანობა ირღვევა. ჰამლეტის განზრახვანი საქმეთ ვერ იქცევიან. აი რაშია ტრაგიზმის ნასკვი, აი რა ჰქმნის ჰამლეტის პესიმისტურ სულისკვეთებას...

იმედაშვილი (ჰამლეტი) მხოლოდ საბრალოთ ებღაუჭებოდა ამ მსოფლიო გმირს. მას მის დასაძლევათ არც საკმაო ნიჭი შესწევს, არც ცოდნა და, არც ტემპერამენტი. ეს არტისტი, ჩემი აზრით, სასარგებლო მუშაკია ჩვენ ღარიბ სცენაზე და ასეთი დარჩება—მხოლოდ იმ პირობით, თუ თავის ადგილი იქნება. თუ არტისტებს სრულებით ვერ გაუგიათ „ჰამლეტი“, თვით რეჟისორს ეს ტრაგედია მასხრობათ გადაუქცევია. აი მაგალითები: ოფელიას დასაფლავების დროს ორკესტრი „კალ სლოვენ“-ს უკრავს კულისებში. მეფის შემოსვლის დროს-კი ახალ მოდის მარშებს უკრავენ. ჰამლეტის დედა ისე ემაწვილია, რომ ჰამლეტის შვილი ჰგონია მაყურებელს. აჩრდილის მაგიერათ ფანჯარაში ელექტრონის ფარნებს აჩვენებენ. მკვდარი როზენკრანცი რეჟისორის ბრძანებით ისევ ცოცხლდება და პროცესიაში მონაწილეობას იღებს—და კიდევ მრავალი სხვა. მაყურებელს გინდოდა გეთქვა: შექსპირის სულო, მიუტევე მათ, რამე თუ არ იცოდენ რასაც სჩადიან.

დავითაშვილის (ოფელია) და დ. ჩარკვიანის (აქტიორი) ბუნებრივი თამაში მხოლოდ მცირე წუთი იყო სიამოვნებისა ამ ხანგრძლივი ტანჯვის დროს.

მასკა.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

განცხადება

თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარე
მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 5

ლამბაშიძე ვ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

ბედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

გურკო ბ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ძიძოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

კარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი ბ. ბ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურგ. და დედა
ველ დღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ. ხ. თვალის. ორშაბ
ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ
11—12 ს.

პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვ
ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—1

ხოზოლევსკი ვ. ვ. ქირურგ. ყოველ
9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბ
ტორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—75)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელ
რონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიაჯიანცისა (ტელეფონი

ექ. ხ. მაზაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

ექ. ი. ბომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი: სამშაბათს
და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათ

ექ. ი. ბ. ფედოროვი: ყოველ დღე,
ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური
მიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის
და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციებ
კონსულტაცია მორიგებით.

(100—76)

კბილის
საექიმო კაბინეტი
იოხველისა

(„გაუფრთხილდით კბილებ“ს ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობ
ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმ
მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საე
სკოლის გვერდით· (100—16)

[illegible]

გლეხთა ამხანაგობა
„კახეთი“

Товарищество [illegible]

„Kaxetia“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა ს
ბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქნებ
ტრაქტირებში და სასტუმროებში.

10 ბოთლს ზევით უგზავნით უმთავრესი საწყ
ბიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.

По такому этикету продается наше вин
во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и п
тейныхъ заведеніяхъ.

Свыше 10 бут. доставляется нашимъ под
водомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შ
დეგ ფასებში: (0—1)

№ 1	„	— 20 к.	16	„	— 3 р.
№ 2	„	— 25 к.	16	„	— 3 р. 60
№ "		— 35 к.	16	„	— 5 р. 10
4	-	— 50 к.	16	„	— 7 р.

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. д №
Мухаилу НиколаевичуКоаловъ·

მატარებლების მიმოსვლა

15 ოქტომბრიდან 1909 წ.

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

თფილისიდან გადის

ბაქოსკენ: საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. სა
ს. მგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დი
სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. სა
შერეული მე-IV კლასის ვაგონებით
106, 7 ს. 3 წ. დილით.

ბათუმისკენ: საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დ
ლით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამი
სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამო
შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4
28 წ. დღით.

თფილისში მოდის

ბაქოდან: საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დღ
სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამ
სამგზავრო № 11, 10 ს. 47 წ. დღ
შერეული მე-IV კლ. ვაგონებით №
3 ს. 16 წ. დღით.

ბათუმიდან: საფოსტო № 4, 10 ს. 40 წ.
ღამის; სამგზავრო № 6, 7 ს. 21
დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17
დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებ
№ 106, 5 ს. 53 წ. დილით.

თფილისიდან გადის

მიხაილოვში: სამგზავრო-საქონლის № 9,
23 წ. დღით.

თფილისში მოდის

მიხაილოვიდან: სამგზავრო-საქონლის №
8 ს. 23 წ. დილით.

ყარსის გზაზე

თფილისიდან გადის: საფოსტო № 74/
ჯულფაში,1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქ
ლის № 72/79 ერევანში, 4 ს. 20
დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებ
№ 10 109, ალექსანდროპოლში
8 წ. დღით.

თფილისში მოდის: საფოსტო № 72/73 ჯ
ფიდან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზა
საქონლის № 80/81 ერევნიდან
44 წ. სად.; შერეული მე-IV ვა
გონებით № 110/111 ალექსანდრო
ლიდან 4 ს. 48 წ. და მით.

სტამბა „შრომა“, რუსის ქ. № 3.